საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030175632422417

№ 01-246/ო **16** / ნოემბერი / **2017** წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი მოძრავი ქონების (ძირითადი აქტივები, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები) ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის #82 დადგენილების მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების, ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის #249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" და ,,ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2017 წლის 20 ოქტომბრის #01-22742 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი მოძრავი ქონების (ძირითადი აქტივები, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები) ჩამოწერის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი მოძრავი ქონების (ძირითადი აქტივები, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები) ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისია (შემდგომში -კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზაზა სოფრომაძე-საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გია კაკუშაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) თეა მონასელიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

დ) ოლეგი ლუტიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ე) ლაშა ენდელაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;

ვ) მამუკა გიკაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ზ) მიხეილ ჟიჟილაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

2. დაევალოს კომისიას:

ა) შეისწავლოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 31 ოქტომბრის #01-231/ო ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული შემდგომი ექსპლოატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობა, უზრუნველყოს ჩამოწერის შესაბამისი გადაწყვეტილების დასაბუთება და ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტების და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტების შედგენა.

ბ) განსაზღვროს კომისიის მუშაობის ფორმატი და პერიოდულობა, მუშაობისას იხელმძღვანელოს ,,საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის #82 დადგენილებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) ჩამოსაწერი ქონების შეფასების თაობაზე გამოიყენოს დარგის სპეციალისტის (შესაბამისი აუდიტორული ან საექსპერტო) დასკვნა.

3. კომისიამ ქონების ჩამოწერის შესახებ დასკვნა შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს წარუდგინოს არაუგვიანეს 2017 წლის 26 დეკემბრისა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი  დავით სერგეენკო